KA030137159392118

№ 01-12893 **08 / ივნისი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ
დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 13-15 ივნისს ყაზახეთში ქ. ალმა-ატაში ტარდება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტების მონიტორინგისა და ფარმაკოუსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი სემინარი, რომელზეც მოხდება ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება რეზისტენტული ტუბერკულოზის სამკურნალო ახალი თაობის მედიკამენტებთან დაკავშირებით.

შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით წარდგენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ია ყამარაული, რომელიც მუშაობს „ტუბერკულოზის მართვის" სახელმწიფო პროგრამის შემუშავების და მიმდინარეობის კოორდინაციის საკითხებზე.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯები სრულად ანაზღაურდება (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური ნორმა) მიმწვევი მხარის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ია ყამარაულისათვის მიმდინარე წლის 11 ივნისიდან 16 ივნისის ჩათვლით.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია